ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N35

2018 წლის 21 თებერვალი
ქ.ქობულეთი

ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯია"-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს თანხმობა ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ოჩხამურის ტერიტორიაზე ახალ ქსელზე მიერთების მიზნით (ფ/პ ,,თემურ ხოზრევანიძის" კუთვნილ ობიექტზე ს/კ 20.37.01.116) 0.22 კვ ძაბვის გარე ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე, თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად.

2. ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიამ" უზრუნველყოს გარე ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ნ.თხილაიშვილი


205102050
205102063
205102007
203701050
203701295
205102068
203701047
203701008
205102066
არსებული 0.4 კვ რბ დგარი
განშტოების წერტილი
203701063
203701039
203701035
203701296
203701069
203701033
ქს ორხეთერი №37 სპ 102-324-250 კვ
საპროექტო 0.4 კვ სიმ 220 მ
საპროექტო 0.4 კვ ზც რბ დგარი
203701064
203701013
203701063
ობიექტი
203701050
203701016
203701062

ENERGO-PRO